ქ-ნ მ. ქადეიშვილს
ბ-ნ დ. გოგიჩაიშვილს

გასაცნობად და საქმეში გასათვალისწინებლად

მ. ქათამაძე
22.05.2018

super TV

№278

"22" "მაისი" 2018 წ.

სუპერ ტვ • SUPER TV
ვასული კორესპონდენცია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

გიგზავნით დამატებით დოკუმენტაციას შპს "სუპერ ტვ"-ის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის N F8 ლიცენზიის შპს "ტვ სარფ"ზე გადაპირებასთან დაკავშირებით.

დანართი:
1. პარტნიორის გადაწყვეტილება.(23.04.2018წ.)
2. დამატებითი შეთანხმება. (21.05.2018წ.)
3. მინდობილობა

ფურცლების რაოდენობა: 6 ფურცელი

შპს "სუპერ ტვ"

დირექტორი

ლაშა სილაგაძე

შპს "სუპერ ტვ" 400015201 "SUPER TV" LTD

შემოსულია №გ-6/2517-18
22 05 2018
1+5 ფურცელი

შპს „სუპერ ტვ“
მარშალ გელოვანის გამზირი 2, 0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 2901011 ფაქსი: +995 32 2923777

05.05.2018წ.

# მინდობილობა

შპს „სუპერ ტვ“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა სილაგაძის სახით, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლებამოსილებას კომპანიის იურისტს ლიკა გახარიას (პირადი N58001024249, დაბ:05.09.1989წ, მის: ქ.თბილისი დიღმის მასივი, მე-3 კვ. კორპ N5) მასზედ, რომ ხელი მოაწეროს შპს «სუპერ ტვ»-სა და შპს «ტვ სარფს» შორის დადებულ 2018 წლის 07 მაისის ხელშეკრულებას საოპერაციო აქტივების ნასყიდობის თაობაზე.
წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 2018 წლის 05 მაისს და ძალაშია მასში გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

შპს «სუპერ ტვ»-ის დირექტორი:

ლაშა სილაგაძე

შპს „სუპერ ტვ“ 400015201 "SUPER TV" LTD

შპს „სუპერ ტვ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 400015201
თბილისი, მარშალ-გელოვანის N2
ტელ: 2 90 10 11

პარტნიორის გადაწყვეტილება

ქ.თბილისი
23.04.2018წ.

შპს „სუპერ ტვ“-ს 100% პარტნიორი საერთაშორისო ბიზნეს კომპანია “Super TV S.A.”-ის , (დაფუძნებული 2011 წლის 23 მარტს საერთაშორისო ბიზნეს კომპანიების აქტების N 103,263 თანახმად, რეგისტრირებული მისამართზე ბელიზი, ქალაქი ბელიზი, კორკის ქუჩა N5.) დამფუძნებლისა და დირექტორის ზურა ჩიგოგიძის, (მისამართი: თბილისი 0179, ნინო რამიშვილის ქუჩა N2, ბინა 57; პირადი ნომერი 01008004061 , დაბადების თარიღი: 06.07.1971; რომელიც მოქმედებს 2015 წლის 21 აპრილს “Super TV S.A.”-ის პარტნიორთა მიერ გაცემული გენერალური მინდობილბის საფუძველზე) გადაწყვეტილებით ლაშა სილაგაძეს, (49001000888), როგორც შპს „სუპერ ტვ“-ს დირექტორს, მიენიჭოს უფლებამოსილება, მოახდინოს შპს «სუპერ ტვ»-ის ბალანსზე არსებული როგორც საოპერაციო, ისე არაბიზნეს აქტივების რეალიზაცია.

ლაშა სილაგაძეს ენიჭება უფლებამოსილება მოახდინოს შპს «სუპერ ტვ»-ის იმ ქონების რეალიზაცია , რომლის ნუსხაც წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებულ 2017 წლის 28 დეკემბრის სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნაში, ნომრით N006779917.

დადოს აღნიშნულთან დაკავშირებით ნასყიდობის ხელშეკრულებები, წარმოადგინოს შპს «სუპერ ტვ» ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაში მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ასევე ნებისმიერ მესამე პირთან ურთიერთობაში, შეიტანოს და გამოითხოვოს განცხადებები, მონაწილეობა მიიღოს და ხელი მოაწეროს მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ნებისმიერ დოკუმენტაციას.

ზურა ჩიგოგიძე ---------------------------------

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N180445750 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 24.04.2018 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ანჟელა მანია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 62938807073418 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

**ორიათას თვრამეტი წლის ოცდაოთხ აპრილს** მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, მომმართა **ზურა ჩიგოგიძემ** მან წარმომიდგინა **პარტნიორის გადაწყვეტილება** (ორი ეგზემპლიარი) და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურა ჩიგოგიძემ (დაბადებული 06.07.1971წ. პ/№01008004061. რეგისტრ. მისამართზე: ქალაქი თბილისი, ნინო რამიშვილის ქუჩა, N 2, ბინა 57)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე, რომ აღნიშნული **გადაწყვეტილების** შინაარსზე, მასში მოყვანილ ფაქტებზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ანჟელა მანია, არ ვიღებ პასუხისმგებლობას და ვამოწმებ მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას მასზე. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე **გადაწყვეტილებაზე** ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან განაცხადა, რომ **გადაწყვეტილება** ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 4(ოთხი) ლარი – მუხლი 31, დღგ 0.72 ლარი (2 ხელმოწერის ყველა ეგზემპლარისთვის) - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ".

ნოტარიუსი ანჟელა მანია

GEORGIA. NOTARY ANZHELA MANIA
ГРУЗИЯ, НОТАРИУС МАНИЯ АНЖЕЛА * 62001034660

**დამატებითი შეთანხმება**
( 2018 წლის 07 მაისის საოპერაციო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების)

ქ.თბილისი 21.05.2018წ.

ერთის მხრივ, **შპს «სუპერ ტვ»** (ს.კ.400015201) (შემდგომში „გამყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა სილაგაძის სახით, მეორეს მხრივ, **შპს «ტვ სარფი»** (ს.კ.445459423) (შემდგომში „მყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ კიწმარიშვილის სახით, წარმომადგენელი/ხელმომწერი დავით ძაგანია (პ/ნ01011009375, მცხ.ქ.თბილისი,ბესარიონ ჟღენტის N5, ბN26) ცალ-ცალკე წოდებული როგორც “მხარე”,ხოლო ერთობლივად როგორც “მხარეები”, დამატებით ვთანხმდებით შემდეგზე:

- განხორციელდეს ცვლილება 2018 წლის 07 მაისის საოპერაციო აქტივების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების 4.1. ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4.1. “მყიდველი” იღებს ვალდებულებას მომსახურება გაუწიოს “გამყიდველის” სააბონენტო ბაზას ბოლო მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და იმ სერვისების ფარგლებში, რასაც “გამყიდველი” სთავაზობდა თავის კუთვნილ აბონენტებს.”

- განხორციელდეს ცვლილება 2018 წლის 07 მაისის საოპერაციო აქტივების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების მე-7 პუნქტში: დაემატოს 7.8. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

“7.8. 2018 წლის 07 მაისის საოპერაციო აქტივების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება ძალაში შედის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შპს “სუპერ ტვ”-ის კუთვნილი N F8 ლიცენზიის შპს “ტვ სარფ”-ზე გადაპირების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.”

- 2018 წლის 07 მაისის საოპერაციო აქტივების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების ყველა დანარჩენი პირობა, რომელზეც წინამდებარე დამატებით შეთანხმებაში არ არის საუბარი რჩება უცვლელი.

მხარეთა ხელმოწერები:

შპს “სუპერ ტვ”
ლაშა სილაგაძე

შპს “ტვ სარფი”
ვახტანგ კიწმარიშვილი

წარმომადგენელი/ხელმომწერი
დავით ძაგანია

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N180578961 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 22.05.2018 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ანჟელა მანია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 53261257154118 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას თვრამეტი წლის ოცდაორ მაისს, მე ანჟელა მანიას ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებრე ტერიტორია**, მომმართეს დავით ძაგანიამ და ლაშა სილაგაძემ. მათ წარმოადგინეს **დამატებითი შეთანხმება ( 2018 წლის 07 მაისის საოპერაციო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება) ( ორ ეგზემპლარად) და განაცხადეს რომ** სურთ ამ **შეთანხმებაზე** მათი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მხარეების პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწრმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით ძაგანიამ (**დაბადებული:04.03.1967წ. თბილისში, პირადი № 01011009375. მისამართი: ქალაქი თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა, N 5, ბინა 26**) და ლაშა სილაგაძემ (**დაბ.28.08.1978წ.** ცაგერში, **პ/ნ#49001000888, რეგ. მისამართზე: ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 21, ბინა 71)** მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერა წინამდებარე **შეთანხმებაზე** მე მათ განვუმარტე, ნოტარიუსი ანჟელა მანია **შეთანხმებაზე** შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას და ვამოწმებ მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას მასზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანხმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"– 4 ხელმოწერისთვის 8 (რვა) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.44 ლარი – თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ აღნიშნული დადგენილებისა.

ნოტარიუსი /ანჟელა მანია/

GEORGIA. NOTARY ANZHELA MANIA
НОТАРИУС МАНИЯ АНЖЕЛА
* 62001034660 *